GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *2021 / 16 Temmuz / ივლისი*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 728.6 | 4 274.6 | -6.2% | 18.5 % | 9.9 % |

**Natakhtari'de Türk Yatırımıyla Mobilya Fabrikası Açılıyor**
**ნატახტარში თურქული ინვესტიციით ავეჯის საწარმო იხსნება**

Ağustos sonunda Türk mobilya firması Assia tarafından gerçekleştirilen 2 milyon dolarlık yatırın sonucunda Gürcistan'da Natakhtari'de mobilya fabrikası hizmete geçecektir.

Firma kurucusu Ömer Faruk Demirtaş, Gürcü asıllı olduğunu ve çocukluğundan beri memleketinde bir iş kurmak istediğini açıklıyor. Belirttiği gibi firma önce yerel pazarın talebini karşılamaya odaklanacak, ardından ihracat yönünde faaliyet gösterecek. Türkiye'de faaliyet gösteren işletmeden Avrupa'ya mobilya ihracatı tecrübesine sahip olan şirket, Gürcistan'da faaliyete geçtikten sonra Almanya, Fransa ve İngiltere'ye mobilya ihracatı yapacak.

Not edilmelidir ki yatırımcıların devlet destek programlarından yararlanmadılar ve fabrikanın faaliyete geçtikten sonra 50'ye varan istihdam yaratılacak. Tamamen modern, Avrupa tipi ekipmanlarla donatılmış tesis, ağırlıklı olarak Türkiye'den ithal edilen hammaddelerle üretim yapacak. Şirket ortaklar bir süre sonra Gürcistan'da üretilen mobilyaların Avrupa ülkelerine ihraç etmeye planlıyor.





თურქული ავეჯის მწარმოებელი კომპანია Assia საქართველოში, კონკრეტულად კი ნატახტარში 2 მლნ დოლარის ინვესტიციით აგვისტოს ბოლოს ავეჯის საწარმოს აამოქმედებს.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი ომერ ფარუქ დემირთაში განმარტავს, იგი წარმოშობით ქართველია და სამშობლოში ბიზნესის წამოწყების სურვილი ბავშვობიდან ჰქონდა. საქართველოში ავეჯზე მოთხოვნის ამოქმედების შემდეგ კომპანია ჯერ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული, შემდეგ კი ექსპორტის მიმართულებითაც გააქტიურდება. კომპანიას ევროპაში ავეჯის ექსპორტის გამოცდილება თურქეთში მოქმედი საწარმოდან აქვს და საქართველოში ამოქმედების შემდეგ ავეჯს გერმანიაში, საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთში გაიტანს.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორებს სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამებით არ უსარგებლიათ და 2 მლნ დოლარის ინვესტირებით კომპანია Assia-მ 50-მდე სამუშაო ადგილი შექმნა. ქარხანა

სრულად ევროპული, თანამედროვე ტიპის დანადგარებითაა აღჭურვილი და ის ძირითადად თურქეთიდან შემოტანილ ნედლეულზე იმუშავებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ პარტნიორები საქართველოში წარმოებული ავეჯის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში გეგმავენ.

## İstanbul'da Gürcü Firmasının Şube Açıldı
## სტამბოლში ქართული კომპანიის ფილიალი გაიხსნა

Özel Gürcü posta şirketi olan İNEX GROUP ve Gürcü Para Transferi Şirketi olan INTELİEXPRESS İstanbul'da ortak şube açtı.

Bu vesile ile İNEX GROUP Türkiye'den Gürcistan'a koli taşımaya başlıyor. İNEX GROUP şube adresi kullanarak müşteriler online alım-satımı da yapabilecekler. Haftada bir uçuş sıklığı ile şirket kişisel koli, özel ve ticari kargolara da hizmet verecek.

Inteliexpress ise şube aracılığıyla Türkiye'deki Gürcü göçmenlere hizmet verecek. Şubedeki mevcut Gürcü ortamda göçmenler tek alanda tam hizmeti alacaklar. Müşteriler burada Gürcistan dahil olmak üzere dünyanın farklı farklı ülkelere, Gürcü Lari ile beraber çeşitli para birimlerle para transferi ve diğer finansal işlemleri gerçekleştirebilecekler.




სტამბოლში, კერძო ქართული საფოსტო გადამზიდი კომპანია ინექს გრუპის და ქართული საერთაშორისო ფულადი გზავნილების კომპანია ინტელიექსპრესის ერთობლივი ფილიალი გაიხსნა.

ფილიალის გახსნით ინექს გრუპი თურქეთიდან საქართველოს მიმართულებით ამანათების ტრანსპორტირებას იწყებს. მომხმარებლები ამანათების ონლაინ გამოწერისთვისაც შეძლებენ თურქეთის მისამართის გამოყენებას. კვირაში ერთი რეისის სიხშირით ფილიალი ასევე მოემსახურება პერსონალურ ამანათებს, კერძო და კომერციულ ტვირთებს.

რაც შეეხება ინტელიექსპრესს, კომპანია საკუთარი ფილიალის საშუალებით თურქეთში მყოფ ემიგრანტებს შესთავაზებს სერვისებს. ფილიალში ემიგრანტებს ქართული გარემო დახვდებათ და საშუალება ექნებათ ერთ სივრცეში მიიღონ სრული მომსახურება. შეძლებენ ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, მათ შორის თანხის მიღება-გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებში, მათ შორის საქართველოში, როგორც სხვადასხვა ვალუტაში ისე ლარში.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნატახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

## Tiflis'te Kumarhane Lisans Ücreti Yarıya İndirildi
## თბილისში სამორინეს მოწყობის ლიცენზია განახევრდა

Gürcistan hükümeti, Tiflis'te kumarhane lisansı almak için belirli ayrıcalıkları belirlenen yeni kararnameyi yayınlandı.

13 Temmuz tarihli karara göre, 5 Temmuz 2021'den 1 Ocak 2022'ye kadar Tiflis'te verilecek lisans ücreti birinci yılı için 2.500.000 GEL olacak. 1 Ocak 2021'den 5 Temmuz 2021'e kadar lisans almış firmalar için ise bir sonraki yılın lisans ücreti 2.500.000 GEL olarak belirlendi. Bilgi olarak, kumarhane için izin ücreti ülke genelinde 5 milyon Laridir. Ancak bazı bölgelerde, yüzden daha fazla odası olan otelde açılacak kumarhaneler, 10 yıl süreyle lisans ücretinden muaf tutulacak. Bu bölgeler aşağıdaki gibidir: Duşeti Belediyesi – Bazaleti Gölü çevresi, Kobuleti ve Borjomi belediyeleri, Gudauri ve Bakuriani bölgeleri, Tskaltubo ve Sighnaghi belediyeleri, Zugdidi belediyesine bağlı olan Anaklia ve Ganmukhuri bölgeleri, Akhaltsikhe Belediyesi; Gurjaani Belediyesi, Lanchkhuti Belediyesi, Grigoleti bölgesi ve Poti belediyesi.



საქართველოს მთავრობამ ახალი დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც თბილისში სამორინეს ლიცენზიის მისაღებად გარკვეული შეღავათები დაწესდა.

13 ივლისის გადაწყვეტილებით, თბილისში 2021 წლის 5 ივლისიდან 2022 წლის 1-ელ იანვრამდე გასაცემი ლიცენზიის პირველი წლის მოსაკრებელი 2 500 000 ლარი იქნება. ხოლო 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 5 ივლისამდე ლიცენზია აღებული სამორინეებისთვის მომდევნო წლის სანებართვო მოსაკრებელი 2 500 000 ლარით განისაზღვრა.

ცნობისთვის, სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით 5 მლნ ლარს შეადგენს. თუმცაღა გარკვეულ რეგიონებში არანაკლებ ას ნომრიან სასტუმროს ტერიტორიაზე გახსნილი სამორინე 10 წლით გათავისუფლდება სანებართვო მოსაკრებლიდან. ეს რეგიონებია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ქობულეთისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები; გუდაურის ტერიტორია, დაბა ბაკურიანის ტერიტორია, წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ანაკლია და სოფელი განმუხური, ახალციხის მუნიციპალიტეტი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, დაბა გრიგოლეთის ტერიტორია და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.

## Gürcistan'a Para Transferleri
## ფულადი გზავნილები საქართველოში

Haziran 2021'de ülkeye yapılan havale hacmi 201,9 milyon ABD dolarına (638,3 milyon GEL) ulaştı ve bu, Haziran 2020'deki aynı döneme göre %19,3 (32.7 milyon ABD doları) daha fazla.

Haziran ayında en büyük miktarın Rusya'dan - 39 milyon dolar, ardından İtalya - 31.7 milyon dolar ve Amerika Birleşik Devletleri - 25 milyon dolardan aktarıldığı belirtilmelidir.



Haziran 2021'de Gürcistan'dan yurtdışına 26,5 milyon ABD doları (83,7 milyon GEL) gönderildi, bu da Haziran 2020'den (21,9 milyon ABD doları) %20,8 daha fazladır.

2021 წლის ივნისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 201.9 მლნ აშშ დოლარი (638.3 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 19.3%-ით (32.7 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2020 წლის ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

აღსანიშნავია, რომ ივნისში ყველაზე დიდი რაოდენობით თანხა რუსეთიდან გადმოირიცხა - 39 მილიონი დოლარი, მეორე ადგილზეა იტალია - 31,7 მილიონი დოლარი, ხოლო მესამე ადგილზეა აშშ- 25 მლნ დოლარით.

2021 წლის ივნისში საქართველოდან საზღვარგარეთ 26.5 მლნ აშშ დოლარი (83.7 მლნ ლარი) გადაიგზავნა, რაც 2020 წლის ივნისის (21.9 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20.8%-ით მეტია.

## Yeni 3 Uygulama
## 3 ცვლილება მთავრობის დადგენილებაში




Hükümet kararnamesinde yapılacak değişiklikler 19 Temmuz'da yürürlüğe girecek. Özellikle, karara göre:

• Eğitimlere, konferanslara, seminerlere katılmak yalnızca ön PCR testi temelinde izin verilir.

• Kamp türü faaliyetler, yerleri veya organizasyon biçimleri ne olursa olsun yasaktır.

• 18 yaşın altındaki gençler için spor turnuvalarına ve antrenman seanslarına yalnızca tüm katılımcıların PCR öncesi testi temelinde izin verilir.

19 ივლისიდან მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები ამოქმედდება. კერძოდ, დადგენილების თანახმად:

• ტრენინგებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე მონაწილეთა დასწრება დასაშვებია მხოლოდ წინასწარი PCR ტესტირების საფუძველზე

• იკრძალება ბანაკის ტიპის შეკრებები, მათი ორგანიზაციული ფორმისა და ჩატარების ადგილის მიუხედავად

• 18 წლამდე ასაკის მოზარდების სპორტული ტურნირებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ ყველა მონაწილის წინასწარი PCR ტესტირების საფუძველზე

## Covid – 19




Gürcistan'da korona virüs vaka sayısında artış eylimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 9006'e ulaştı (ortalama: 1286 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 382 734'e ulaştı. Can Kaybı – 5503, iyileşenlerin sayısı – 362 491, aktif vaka ise – 14 740. Halihazırda hastanelerde 4001, otellerde ise 1016 kişi tedavi görüyor, 52 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %4.75'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %4.31'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %4.67'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 334 199 kişiye yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 189 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 189 750 213; Can Kaybı – 4 083 260; İyileşen kişi sayısı – 173 166 211. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Fransa'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევების ზრდის ტენდენცია გრძელდება.მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 9006-ს უტოლდება ( 1286 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 382 734 შეადგინა, გარდაიცვალა 5503, გამოჯანმრთელდა 362 491, ხოლო 14740 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 4001 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1016 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 52 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 4.75%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 4.31%, ხოლო 7 დღის 4.67%.

საქართველოში ჯამურად აცრა 334 199 ადამიანს ჩაუტარდა.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 189 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 189 750 213 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 4 083 260, ხოლო გამოჯანმრთელდა 173 166 211 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და საფრანგეთს ჰყავს.

**Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი**

GEL/USD – 3.1386 TRY/GEL – 0.3665 EUR/GEL – 3.7108 GBP/GEL – 4.3570

USD/GEL

09 - 16 Temmuz 2021



USD/TRY

09 - 16 Temmuz 2021



TRY/GEL

09 - 16 Temmuz 2021



BTC – 31 715.78

09 - 16 Temmuz 2021

